

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის
2020 წლის
სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

I - ბიუჯეტირება

1. ბიუჯეტის მართვის სრულყოფა

1.1 წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში;

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ფისკალურ პარამეტრებთან.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“ (პირველი, მეორე, მესამე წარდგენა), 2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების გადამუშავებული დოკუმენტი და ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართული მასალები წარედგინა საქართველოს მთავრობას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. პარლამენტმა დაამტკიცა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი“ და იგი განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.¹

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია. პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილებზე. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ფონზე შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობისა და დიაგნოსტიკისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას მიეცა შესაძლებლობა ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით ემოქმედა კანონმდებლობით განსაზღვრული ფისკალური პარამეტრების ზღვრების მიღმა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მარტის დასაწყისიდანვე დაიწყო მუშაობა ერთის მხრივ ბიუჯეტის არსებული პროგრამების შემცირებაზე და მეორეს მხრივ საერთაშორისო პარტნიორებისგან დამატებითი რესურსების მობილიზებაზე.

მნიშვნელოვნად შეიზღუდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი (წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები, სპეციალიზებული დაწესებულებების გარდა საწვავის ხარჯები, ვაკანსიების შევსება და საპრემიო რესურსი), გარკვეული რესურსის მობილიზების და მისი COVID-19-ის პანდემიის საჭიროებების დასაფინანსებლად მიმართვის მიზნით. შემცირდა ყველა იმ პროგრამის ბიუჯეტი, რომელთა არგანხორციელება ან/და დროში გადაწევა მნიშვნელოვნად არ დააზიანებდა შესაბამის სექტორს, მათ შორის ბუნებრივი ფაქტორების (პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვები) გათვალისწინებით შეიზღუდა კულტურული, სპორტული და ტურიზმის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები. ასევე, გადაიხედა 2020 წლისათვის განათლების რეფორმის ზოგიერთი მიმართულება. შედეგად ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად შემცირდა დაახლოებით 600.0 მლნ ლარის ოდენობით.

¹ <https://www.mof.ge/5355>

პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც კერძო სექტორზე, ისე მოქალაქეების მდგომარეობაზე. შესაბამისად, აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეების პირდაპირი დახმარებებისთვის, ასევე, ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულთა მკურნალობისთვის. აღნიშნული მიზნებისათვის დამატებით საჭირო ხარჯებმა შეადგინა დაახლოებით 3,4 მლრდ ლარამდე.

გასულ წლებში არსებული მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფისკალური დისციპლინა, სავალუტო ფონდთან არსებულ წარმატებულ პროგრამასთან ერთად იყო ის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა უმოკლეს დროში საერთაშორისო ინსტიტუტებთან მიგვედგინა შეთანხმება საქართველოსთვის დამატებით 1,5 მლრდ აშშ დოლარის გამოყოფის თაობაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კრიზისულ ეტაპზე გეგმაზომიერი ღონისძიებების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი აღმოჩნდა საჯარო ფინანსების მართვის არსებული ჩარჩო და საბიუჯეტო სისტემის მოქნილობა. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევებში ფისკალურ ზღვრებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რეგულაციებს. წლიური ბიუჯეტის კანონის დაზუსტების მექანიზმებმა კი ხელი შეუწყო საჭირო რესურსების მობილიზებისათვის ასიგნებების გადანაწილებას, რის შედეგადაც საბიუჯეტო პროცესი შეუფერხებლად ხორციელდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილების განხორციელება და მასში აისახა როგორც განახლებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები, ასევე ის ასიგნებები, რომლებიც აუცილებელი იყო საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შემდგომი დაფინანსებისთვის.

სამწუხაროდ 2020 წელს, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შესაბამისად ამუშავდა „საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის (საგანგებო მდგომარეობა) პირობა. შესაბამისად, მომზადდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულ პარამეტრებში დაბრუნების გეგმა, რომელიც თან დაერთო სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილების პროექტს და წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (N6407-IIს, 29.06.2020) ², ასევე განთავსებულია საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე.³

გამომდინარე იქიდან, რომ პანდემიამ შეცვალა საბაზისო პარამეტრები, აღნიშნულმა გავლენა მოახდინა 2021-2024 წლების პარამეტრებზე და შეიცვალა მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

1.2 საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა (MTEF)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და წარდგენილია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისთვის.

² <https://www.mof.ge/5261>

³ <https://matsne.gov.ge/document/view/4906166?publication=0>

2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზები მომზადებულია არსებული პოლიტიკის და პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში და შესაბამისი ინფორმაცია ასახულია 2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში არანაკლებ შემდეგი მიმართულებებით: განათლება, მეცნიერება, კულტურა და სპორტი, გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა, დევნილთა საკითხები, შრომა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა.

წინა პერიოდის საშუალოვადიანი პარამეტრებისგან გადახრის გამომწვევი მიზეზების თაობაზე მომზადებულია ინფორმაცია და თან ახლავს 2021 წლის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

მომზადებულია კონცეფცია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების პროცესში მხარჯავი დაწესებულებების მიერ შესამუშავებელი ინფორმაციის საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემაში (ePFMS) ინტეგრირების მიზნით.

პერიოდი: იანვარი-ივლისი

პროგრესი: 2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტს დაემატა მუნიციპალიტეტებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაცია და მომზადდა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც ინფორმაციის სახით წარედგინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2020-2023 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.⁴

მომზადდა „2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და დამტკიცდა 2020 წლის 28 თებერვლის N137 დადგენილებით. დადგენილებით შემუშავებულია დანართების ფორმები, რომლის მიხედვითაც მხარჯავი დაწესებულებების მიერ, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით, ეტაპობრივად წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. აღნიშნული დადგენილება ხელმისაწვდომია, როგორც ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე⁵, ასევე სსიპ-საკანონმდებლო მაცნეს⁶ ვებ-გვერდზე.

2018-2021 წლების საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომელსაც ეფუძნება ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამა „ევროკავშირი ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულებისთვის“ გათვალისწინებულია, რომ 2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში (BDD) ასახულია ინფორმაცია მიმდინარე და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში საშუალოვადიანი დაგეგმვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო წლების განმავლობაში. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით ყოველი წლის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებას დაემატა ახალი დანართი, არსებული (საბაზისო) და ახალი პოლიტიკის მიმართულებების გამიჯვნის მიზნით, რაც თავის მხრივ ახალი პოლიტიკის ნაწილში ითვალისწინებს კანონმდებლობაში უკვე ასახული ვალდებულებების (რომელიც ამოქმედდება საშუალოვადიან პერიოდში) გამოყოფას ახალი ინიციატივებისგან, რომელიც ჯერ არ არის ასახული კანონმდებლობაში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებიდან გამომდინარე ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით მთელი ძალისხმევა იყო მიმართული არსებული ვალდებულებების განსახორციელებლად და პარალელურად რატემაუნდა აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ჯანმრთელობის

⁴ <https://mof.ge/images/File/2019-monacemebi-mimartulebebi/31-01-2020/20-23%20BDD%20sabooloo.docx>

⁵ <https://mof.ge/images/File/kanonebi-brdzanebebi/137.pdf>

⁶ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4814565?publication=0>

დაცვის და ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით არსებული საჭიროებების დასაფინანსებლად რესურსების მოძიების მიმართულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას რომ ახალი პოლიტიკის მიმართულებების დასაფინანსებლად თითქმის რესურსები არ იყო დარჩენილი და ხუთი მიმართულება გამოიყო და ასახა საბიუჯეტო დოკუმენტაციაში.

პირველად მიმდინარე წელს ახალი პოლიტიკის მიმართულებების ასახვა მოხდა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პაკეტში (ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში და პროგრამული ბიუჯეტის დანართში), რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტს. ბიუჯეტის პროექტს თან ახლავს განმარტებები ახალი პოლიტიკის მიმართულებებზე შემდეგი მიმართულებებით:

- **განათლების მიმართულებით განათლების რეფორმის ფარგლებში (სკოლამდელი და ზოგადი განათლების პროგრამის ფარგლებში - 32 02):**
 - ✓ მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა და შრომის ანაზღაურების ზრდა;
 - ✓ „ახალი სკოლის“ მოდელის დანერგვა;
- **სოციალური დაცვის მიმართულებით (მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში - 27 02):**
 - ✓ საპენსიო პოლიტიკის ახალი მიმართულება - პენსიის ინდექსაცია;
- **ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით (მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში - 27 03):**
 - ✓ პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ახალი მიმართულება - სასწრაფოს ბრიგადების თანამშრომლების და ექიმების/ექთნების სამედიცინო დაზღვევის თანადაფინანსება.
- **შრომისა და დასაქმების სისტემების რეფორმების ახალი მიმართულებები (შრომისა და დასაქმების სისტემების რეფორმის პროგრამის ფარგლებში - 27 05):**
 - ✓ შრომის პირობების უსაფრთხოების პოლიტიკის ახალი მიმართულება;
 - ✓ დასაქმების პოლიტიკის ახალი მიმართულება.
- **ახალი კორონავირუსის (COVID-19) წინააღმდეგ ეკონომიკური მხარდაჭერის პოლიტიკის ახალი მიმართულებები (მეწარმეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში - 24 07):**
 - ✓ საკრედიტო-საგარანტიო სქემა;
 - ✓ სამშენებლო სექტორის მხარდაჭერა.

გარდა ამისა, ევროკავშირთან აღებული ვალდებულებების ფარგლებში უკვე მეორედ მომზადდა საშუალოვადიანი პროგნოზების გადახრის ანალიზის დოკუმენტი მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის და სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტის მონაწილეობით. დოკუმენტიც სამ ნაწილად არის დაყოფილი და მოიცავს მაკროეკონომიკური პროგნოზების შედარებას, ფისკალური პროგნოზების შედარებას და მთავრობის ვალის ნაწილს. გასათვალისწინებელია, რომ 2020 წელს, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შესაბამისად ამუშავდა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის (საგანგებო მდგომარეობა) პირობა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პანდემიით გამოწვეულია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე 2020 წლის მე-2 კვარტლის წინასწარი მონაცემებით მშპ-ის კლება დაფიქსირდა 12.3%-ის, ხოლო მე-3 კვარტლის კლება - 3.8%-ის ფარგლებში, ასევე დადგა მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (რეცესია) ამოქმედების პირობაც. აღნიშნული პირობების დადგომიდან გამომდინარე, მომზადდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ პარამეტრებში დაბრუნების გეგმა, რომელიც თან ერთვის 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე⁷. 2020 წლის ბოლოსთვის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობა განისაზღვრა 9%-ით. ამასთან, 2021-2024 წლების საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩო ითვალისწინებს დეფიციტის მშპ-ის 3%-იან ნიშნულზე დაბრუნებას 2023 წლისათვის (კანონმდებლობით დაშვებულია 3 წლიანი პერიოდი ზღვრულ პარამეტრებში დაბრუნებისათვის).

ევროკავშირთან აღებული ვალდებულებების ფარგლებში ამ ვალდებულებების შესრულების საპასუხოდ მომზადდა ინფორმაცია (დანართის სახით) მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების გადახრის

⁷ <https://www.mof.ge/images/File/2021-biujeti/30-11-2020/danartebi/21.%20prognozebis%20shedareba%2030.11.2020.docx>

ანალიზისა და ახალი პოლიტიკის მიმართულებების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე⁸.

2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.⁹

1.3 პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, მუნიციპალიტეტები, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი:

ჩატარებული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები სამინისტროების და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის დონორების მხარდაჭერით.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის განახლება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის გავრცელებით დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა დაგეგმილი ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ჩატარება. თუმცა მიუხედავად ამისა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე თანდართული პროგრამული ბიუჯეტის დანართში ზოგიერთი პროგრამებთან მიმართებაში დაიხვეწა შედეგები და ინდიკატორები, ასევე პროგრამულ ბიუჯეტში აისახა ახალი პოლიტიკის მიმართულებები შესაბამისი პროგრამების ფარგლებში.

1.4 საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალური მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტში და საბიუჯეტო დოკუმენტაციაში, როგორც დასაგეგმი, ისე შესრულების შესახებ ინფორმაციაში ფისკალურ დისციპლინასთან შესაბამისობის შესახებ დეტალური განმარტებების ასახვა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: როგორც ზემოთ აღინიშნა 2020 წელს, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შესაბამისად ამუშავდა „ეკონომიკური

⁸ [https://www.mof.ge/images/File/2021-biujeti/15-12-2020/NewFolder/Explanatory%20Note%20on%20Medium-term%20Forecast%20Reconciliation%20and%20New%20Policy%20\(ENG\)1.docx](https://www.mof.ge/images/File/2021-biujeti/15-12-2020/NewFolder/Explanatory%20Note%20on%20Medium-term%20Forecast%20Reconciliation%20and%20New%20Policy%20(ENG)1.docx)

⁹ <https://www.mof.ge/5355>

თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის (საგანგებო მდგომარეობა) პირობა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პანდემიით გამოწვეულია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე 2020 წლის მე-2 კვარტლის წინასწარი მონაცემებით მშპ-ის კლება დაფიქსირდა 12.3%-ის, ხოლო მე-3 კვარტლის კლება - 3.8%-ის ფარგლებში, ასევე დადგა მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (რეცესია) ამოქმედების პირობაც. აღნიშნული პირობების დადგომიდან გამომდინარე, მომზადდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ პარამეტრებში დაბრუნების გეგმა, რომელიც თან ერთვის 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე¹⁰. ბიუჯეტზე თანდართული 2021-2024 წლების საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩო ითვალისწინებს დეფიციტის მშპ-ის 3%-იან ნიშნულზე დაბრუნებას 2023 წლისათვის (კანონმდებლობით დაშვებულია 3 წლიანი პერიოდი ზღვრულ პარამეტრებში დაბრუნებისათვის).

1.5 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფისკალური რისკების მართვის სამმართველო (ჩართული მხარეები: მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების დეპარტამენტი, მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი: მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ახალი საინვესტიციო პროექტების შეფასება საინვესტიციო პროექტების შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესასრულებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად და წარდგენა უწყებათაშორის კომისიისთვის განსახილველად.

არანაკლებ ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მთლიანი ღირებულების 50%-ისთვის განხორციელებული წინასწარი შერჩევა და შეფასება საინვესტიციო პროექტების გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მხარჯავი დაწესებულებების და მუნიციპალიტეტების შესაბამისი თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით.

სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურთან თანამშრომლობით მუშაობის პროცესი აქტიურ ფაზაშია საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონული პორტალის ინფორმაციის საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემაში (ePFMS) ინტეგრირების მიზნით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით 25-26 ივლისს ქ. ბათუმში გაიმართა საინვესტიციო პროექტების მართვის უწყებათაშორისი კომისიის და სამუშაო ჯგუფის გაერთიანებული შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრაზე უწყებათაშორისი კომისიის და სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის მიმდინარეობა და არსებული გამოწვევები, იმსჯელოს იმ აქტუალურ თემებზე, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს რეფორმის ეფექტურად წარმართვას.

2020 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და

¹⁰ <https://www.mof.ge/images/File/2021-biujeti/30-11-2020/danartebi/21.%20prognozebis%20shedareba%2030.11.2020.docx>

ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილებზე. შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობისა და დიაგნოსტიკისთვის საჭირო ხარჯებთან ერთად აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. მნიშვნელოვნად შეიზღუდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. შემცირდა ყველა ის პროგრამა, რომელთა არგანხორციელება ან/და დროში გადაწევა მნიშვნელოვნად არ დააზიანებდა შესაბამის სექტორს, მათ შორის ბუნებრივი ფაქტორების (პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვები) გათვალისწინებით შეიზღუდა კულტურული, სპორტული და ტურიზმის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები. კაპიტალური პროექტების ნაწილში მნიშვნელოვანი შემცირება შეეხო ტურისტულ ინფრასტრუქტურას.

შესაბამისად, გარკვეულწილად შეფერხდა როგორც არსებული საინვესტიციო პროექტების განხორციელება, ასევე შეზღუდულია ახალი პროექტების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები. მიუხედავად ამისა, განხორციელდა 11 ახალი კაპიტალური პროექტის შეფასება, რომელთა ინიცირება განხორციელდა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სახალხო დამცველის აპარატის მიერ.

მომზადდა საინვესტიციო პროექტების რეესტრი აღნიშნული 11 პროექტისთვის, მათ შორის 8 პროექტის დაფინანსება გათვალისწინებულია საშუალოვადიანი პერიოდისთვის, 2 პროექტთან მიმართებაში საჭიროა დამატებით მსჯელობა, ხოლო 1 პროექტი არ აკმაყოფილებს პროექტების შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმებს.

ზემოაღნიშნული ღონისძიებაც ევროკავშირთან არსებული ვალდებულების ფარგლებში მომზადდა და აღნიშნული 11 ახალი საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური ანალიზი, პროექტების რეესტრი და შემაჯამებელი ინფორმაცია ამ პროექტების შერჩევის და შეფასების შესახებ წარმოადგენს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ნაწილს. სულ ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მთლიანი ღირებულების 75%-ზე მეტზე მომზადდა ეკონომიკური ანალიზები და შესაბამისი ინფორმაცია თან ერთვის 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

შესაბამისად ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.¹¹

1.6 წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:

2019 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის და საქართველოს პარლამენტისთვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. შესრულების ანგარიში მოიცავს ფისკალური წესების შესახებ განმარტებებს, დაგეგმილ და მიღწეულ მიზნებს და განმარტებებს განსხვავებების შესახებ. წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებული ინფორმაცია წინა წლის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებული სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

2020 წლის ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშები საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის არსებულ მოთხოვნებს;

¹¹ <https://www.mof.ge/5355>.

6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებულია ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვის შესახებ და წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის;

მომზადებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ სამოქმედო გეგმა დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების რეტროსპექტიული გადახედვა და რეკომენდაციების ანალიზი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მომზადდა 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. შესრულების ანგარიში მოიცავს ფისკალური წესების შესახებ განმარტებებს, დაგეგმილ და მიღწეულ მიზნებს და განმარტებებს განსხვავებების შესახებ. წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებული ინფორმაცია წინა წლის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებული სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის 2019 წლის წლიური შესრულების ანგარიში რედაქტირებად ფორმატში (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს) განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე¹².

კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა და საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3, 6 და 9 თვის) ანგარიშები, რომლებიც რედაქტირებად ფორმატში განთავსებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.¹³

1.7 საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:

ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) მიხედვით ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mof.ge) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. მომზადებულია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის და შესრულების ანგარიშების მოკლე გზამკვლევები, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პლატფორმა (eBTPS.mof.ge) ფუნქციონირებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე, რომლის საშუალებით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ 2021 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით.

¹² <https://mof.ge/5303>

¹³ <https://www.mof.ge/5307>

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) მიხედვით ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mof.ge) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2019“ (Open Budget Survey 2019) შედეგებით, საქართველომ 81 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 117 ქვეყანას შორის და შეინარჩუნა პოზიცია სრულიად გამჭვირვალე ქვეყნებს შორის.

ფუნქციონირებს ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პლატფორმა (eBTPS.mof.ge) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე, რომლის საშუალებით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ 2021 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. USAID-ის მხარდაჭერით, მომზადდა ამ პლატფორმის საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელშიც ჩართული იყო სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. საპილოტე მიმართულებებად შეირჩა განათლება და რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა.

მომზადებულია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი და გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. მომზადებულია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის და შესრულების ანგარიშების მოკლე გზამკვლევები, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.¹⁴

1.8 მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მუნიციპალიტეტები, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი:

ხორციელდება მუნიციპალიტეტების ხელშეწყობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის თაობაზე გასაფორმებელი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი პირობების შესრულების მიზნით, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით. ხორციელდება ამ პირობების შესრულების მონიტორინგი.

გაანალიზებულია მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზი (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) დამატებით არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი

¹⁴ https://www.mof.ge/mokalakis_gzamkvlevi

ლონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2735 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი ღონისძიებების შესასრულებლად USAID-ის პროექტის ფარგლებში დახმარება გაეწევათ ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ახალციხის, დუშეთის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებს, მათ შორის, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად, საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან და შეთანხმდა თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო გეგმები.

“საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2735 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების მიზნით, დონორი ორგანიზაციების (GIZ და USAID) მხარდაჭერით, 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და ფინანსური ანგარიშგების პროცესის წარმართვაზე მხარდაჭერა გაეწიათ შემდეგ 11 მუნიციპალიტეტს: ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ახალციხის, დუშეთის და დედოფლისწყაროს, მარნეულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებს (საშუალოვადიანი დაგეგმვისა და პროგრამული ბიუჯეტირების მიმართულებით), ქ. რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, ფოთისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებს (ფინანსური ანგარიშგების ნაწილში).

2019 წელს 27 მუნიციპალიტეტთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, ქ. ფოთი, ზესტაფონი, ონი, დუშეთი, ხაშური, გურჯაანი, ლანჩხუთი, ახალქალაქი, მარტვილი, ლაგოდეხი, მცხეთა, მარნეული, თერჯოლა, ქარელი, ხობი, წყალტუბო, კასპი, საგარეჯო, ყაზბეგი, სენაკი, დედოფლისწყარო, სიღნაღი, სამტრედია, ბორჯომი, გარდაბანი), სადაც 2017-2019 წლების განმავლობაში დონორების მხარდაჭერით ჩატარდა შეფასება ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) ინდიკატორების გამოყენებით.

2020 წლის განმავლობაში მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, გარკვეულწილად შეფერხდა მემორანდუმით გათვალისწინებული სამიზნე მაჩვენებლების შესრულება. თუმცა მიუხედავად ამისა, 2020 წლის განმავლობაში სამიზნე მაჩვენებლების შესრულებიდან გამომდინარე, 7 მუნიციპალიტეტს გამოეყო კაპიტალური გრანტი 1 530.0 ათასი ლარის ოდენობით.

ამასთან, წლის განმავლობაში მომზადდა სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად არსებული ინდიკატორების გამოყენებით მომზადდა შემდეგი 12 მუნიციპალიტეტის შეფასება: GIZ - ასპინძა, ბოლნისი, ჭიათურა, ქობულეთი, მესტია, საჩხერე, ყვარელი; USAID - ახალციხე, გორი, ოზურგეთი, ზუგდიდი და თელავი. აღსანიშნავია, რომ ამ მუნიციპალიტეტების შეფასება განხორციელდა PEFA-ს სამდივნოს მიერ შემუშავებული და 2020 წელს გამოქვეყნებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, გენდერულ ჭრილში PFM-ის შეფასების ინდიკატორების გამოყენებით.

1.9 საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით

კასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მხარდაჭერილია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

II - მთავრობის ვალის მართვა

1. პირველადი დილერების სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება; სისტემის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება; პირველადი დილერების საპილოტე სისტემის დანერგვა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, ვალის მართვის დეპარტამენტმა, საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად, შეიმუშავა პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის მარეგულირებელი ჩარჩო, სადაც წარმოდგეილია პროგრამის მონაწილე მხარეთა შერჩევის, სტატუსის მინიჭების, შეჩერების/შეწყვეტის წესი, უფლება-მოვალეობები და ინფორმაციის გაცვლისა და ანგარიშების წარდგენის საკითხები. ამასთან, მიმდინარეობს სისტემის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიის ფუნდამენტური მიმართულებების დამუშავება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დახმარებით. პანდემიით გამოწვეული მასობრივი შეფერხებების გამო პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა ამუშავდა 2020 წლის ნოემბრიდან.

2. ინვესტორებთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ინვესტორებთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება. ინვესტორების ბაზის გაფართოებისა და დივერსიფიკაციისათვის მთავრობის ფასიანი ქაღალდების ტენდენციების ამსახველი პერიოდული ანგარიშებისა და პრეზენტაციების წარმოება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მიმდინარეობს ინვესტორებთან ურთიერთობის სტრატეგიის პროექტზე მუშაობა. სტრატეგია ორიენტირებული იქნება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ცნობადობის ამაღლებასა და ინვესტორთა ბაზის გაფართოებაზე. განსაზღვრულია მთავრობის ფასიანი ქაღალდების ტენდენციების ამსახველი პერიოდული ანგარიშების ფორმატი: ინვესტორების პრეზენტაცია, მაკრო და ვალის თემატიკაზე ყოველთვიური ანგარიში, კვარტალური ვრცელი მიმოხილვა სახელმწიფო ვალზე.

მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყო სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის გამოქვეყნება საიტზე. ანგარიშის განახლება ხდება ყოველკვირეულად და პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების მახასიათებლებთან ერთად მოიცავს თითოეული ფასიანი ქაღალდის მიზნობრივ მოცულობას, ტიპს და სტატუსს.

III - აღრიცხვა და ანგარიშგება

1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა

1.1 IPSAS დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმით 2020 წელს განსაზღვრული სტანდარტების მოთხოვნების ანალიტიკა და ასახვა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებულია IPSAS დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმით 2020 წლისთვის განსაზღვრული სტანდარტების ანალიტიკა და მომზადებულია აღრიცხვა-ანგარიშგების ინსტრუქციის პროექტი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) რეკომენდაციების შესაბამისად, დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების საფუძველზე მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის პროექტი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის № 17 ბრძანებით და რომლის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდისთვის. გარდა ამისა, შემუშავდა და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების გამოყენების ინსტრუქციის პროექტი, რომელიც დამტკიცდა მიმდინარე წლის მაისში, ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით. გარდა ამისა, IPSAS სტანდარტების შესაბამისად მომზადდა ცვეთის და ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის პროექტი, რომელიც დამტკიცდა 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანებით.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების ფორმების დახვეწა და გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის ფინანსური ანგარიშგების ფორმები დახვეწილია/გაუმჯობესებულია და შეესაბამება IPSAS სტანდარტების მოთხოვნებს

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში, IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის მომზადდა ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, რომელიც დამტკიცდა 2021 წლის თებერვალში.

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციით 2019-2020 წლებში დანერგილი IPSAS სტანდარტების მოთხოვნების გასაცნობად სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრებისთვის სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ გამართვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრები იცნობენ და პრაქტიკაში იყენებენ სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ ფარგლებში მიღებულ ცოდნას IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან დაკავშირებით

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით განხორციელდა ტრენინგები სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრებისთვის, მათ შორის, საჯარო სკოლების ბუღალტრებისათვის, რაც გულისხმობდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სწავლებას, IPSAS-ების პრაქტიკაში განხორციელების მიზნით.

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 საპილოტე მუნიციპალიტეტების მიერ 2019 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადება მათთვის IPSAS სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებული აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისად

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საპილოტე მუნიციპალიტეტების მიერ მომზადებულია 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებები, ადგილობრივი ბიუჯეტების სპეციფიკის გათვალისწინებით, IPSAS სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისად,

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი:

შენიშვნა: არ განხორციელებულა. მუნიციპალიტეტები და ავტონომიური რესპუბლიკები, ასევე, მათ მიერ კონტროლირებული ერთეულები IPSAS-ების შესაბამისად აღრიცხვა-ანგარიშგებას განახორციელებენ 2021 წლის 1 იანვრიდან.

1.5 თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებისთვის IPSAS სტანდარტებში ცნობადობის ამალგების და გადამზადების მიზნით სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ გამართვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: სემინარების, სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების და ა.შ, შედეგად, თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები იცნობენ IPSAS სტანდარტების მოთხოვნებს; თვითმმართველი ერთეულების ბუღალტრები პრაქტიკაში იყენებენ აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებით გამართული ტრენინგების და ა. შ ფარგლებში მიღებულ ცოდნას

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: GIZ-ის დახმარებით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგები მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრებისთვის, რაც გულისხმობდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სწავლებას, IPSAS-ების პრაქტიკაში განხორციელების მიზნით.

შენიშვნა: დასრულებულია

1.6 თვითმმართველი ერთეულებისათვის ფინანსური ანგარიშგების ფორმების შემუშავება IPSAS სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, სახაზინო სამსახურისთვის წარსადგენად

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: თვითმმართველი ერთეულებისათვის შემუშავებულია სახაზინო სამსახურისთვის წარსადგენი IPSAS სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების ფორმების პროექტი,

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი:

შენიშვნა: არ განხორციელებულა. მუნიციპალიტეტები და ავტონომიური რესპუბლიკები, ასევე, მათ მიერ კონტროლირებული ერთეულები 2021 წლის ანგარიშგებას მოამზადებენ IPSAS-ების საფუძველზე შემუშავებული იმავე მეთოდოლოგიის შესაბამისად, რითიც ხელმძღვანელობენ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები.

2. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება

2.1 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებულია შესაბამისი ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა; შემუშავებულია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდებოდა სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) დახვეწა, ბიზნეს-პროცესების გამარტივება და არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზება.

შენიშვნა: დასრულებულია

2.2 სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა ტრენინგები და გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები გადამზადებულები არიან ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი:

შენიშვნა: არ დაწყებულა

IV - საგადასახადო და საბაჟო საკითხები

1. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

1.1 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: - საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტის მომზადება 2003 წლის 27 ოქტომბრის საბჭოს 2003/96/EC დირექტივასთან ევროგაერთიანების ფარგლებში ენერგოპროდუქტებისა და ელექტროენერჯის დაბეგვრის ჩარჩოს რესტრუქტურის შესახებ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით.

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ევროკავშირის დახმარებით (taieხ პროგრამა) მოწვეული ექსპერტების დახმარებით განხორციელდა აღნიშნულ დირექტივასა და საქართველოს კანონმდებლობას შორის განსხვავებათა ანალიზი. მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნულ დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით.

1.2 საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფაზე მუშაობის გაგრძელება, ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის მიზნით და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა კანონპროექტი საბაჟო კოდექსში ცვლილებების განხორციელების თაობაზე. კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა გამოწვეული იყო საქართველოს საბაჟო კოდექსში არსებული გარდამავალი და დასკვნითი დებულებების ამოქმედების გადავადების აუცილებლობით, რაც აისახა კანონმდებლობაში.

1.3 საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადების / არსებული შეთანხმებების განახლების მიზნით კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება;

საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში შემუშავებული საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტების დანერგვა და მათი სრულყოფა. ამასთან, გლობალური ფორუმის ახალი 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შეფასების მე-2 რაუნდის ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება;

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და შემდგომი მონიტორინგი. ქვეყნების მიხედვით ანგარიშგების“ (CbC) ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება;

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) BEPS-ის სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“ მრავალმხრივი კონვენციის შესაბამისად სინთეზური ტექსტების მომზადება და შესრულების მონიტორინგი;

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონ ჰონგ კონგს შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის და გადასახადების თავიდან არიდების აღკვეთის შესახებ“.

პარაფირებულ იქნა საქართველოსა და იაპონიას შორის „შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის და გადასახადების თავიდან არიდების აღკვეთის შესახებ“ შეთანხმება.

გამოცემულ იქნა ხელმოწერის უფლებამოსილება „საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის და გადასახადების თავიდან არიდების აღკვეთის შესახებ“ პარაფირებული შეთანხმების განახლებულ პროექტზე.

მიწოდებულ იქნა გლობალური ფორუმის ახალი 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შეფასების მე-2 რაუნდის ფარგლებში საქართველოს მიერ წარსადგენი შუალედური კითხვარი.

1.4 დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) პროექტი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და შემდგომი მონიტორინგი:

- მე-13 ღონისძიება (გარიგების შეფასების დოკუმენტაცია და ქვეყნების მიხედვით ანგარიშგება)- “ქვეყნების მიხედვით ანგარიშგების“ (CbC) ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება: შესაბამისი ცვლილებების პროექტი დამტკიცებულ იქნა პარლამენტის მიერ და შევიდა ძალაში;
- მე-14 ღონისძიება (დავის გადაჭრის მექანიზმის ეფექტურობის ზრდა): მიღებულ იქნა კომენტარები „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ურთიერთშეთანხმების პროცედურის მოთხოვნის წესის დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტთან დაკავშირებით და მათი განხილვის შემდეგ, იგი გაეზავნა ფინანსთა სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) BEPS-ის სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“ მრავალმხრივი კონვენციის შესაბამისად სინთეზური ტექსტების მომზადება და შესრულების მონიტორინგი: ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სინთეზირებული ტექსტების ჩამონათვალს (დიდ ბრიტანეთთან, სერბეთთან და ინდოეთთან) დაემატა სინთეზირებული ტექსტები ირლანდიასთან, ლუქსემბურგთან, ისლანდიასთან, სლოვენიასა და ფინეთთან.

2. რისკზე დაფუძნებული მიდგომების განხორციელება

2.1 საბაჟო რისკების მართვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: პრაქტიკაში დანერგილია საბაჟო ღირებულების კონტროლის პროცედურული სახელმძღვანელო; დანერგილია რისკის შემცველი ტვირთების GPS ლუქვით მონიტორინგის დისტანციური სისტემა; საქართველოსა და სომხეთს შორის შემუშავებულია ერთიანი ელექტრონული ლუქების სისტემა.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: ნაწილობრივ შესრულებულია

- რისკის შემცველი ტვირთების GPS ლუქვით მონიტორინგის დისტანციური სისტემის დანერგვის მიმართულებით ახალი ღონისძიებები არ განხორციელებულა, რადგან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ ჯერჯერობით არ არის გადმოცემული სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა.
- პანდემიის გამო შეჩერებულია საქართველოს და სომხეთს შორის ერთიანი ელექტრონული ლუქების სისტემის შემუშავების პროცესი.

2.2 უწყებრივი რისკის მართვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ფუნქციურად გამართულია შიდა აუდიტი; შემუშავებულია უწყებრივი რისკების მართვისთვის ძირითად საოპერაციო მიმართულებებზე კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმა.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: შესრულებულია.

3. ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის მხარდაჭერა

3.1 სერვისების განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შექმნილია ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზა; განახლებულია სამსახურის ვებ-გვერდი; პროგრამულად უზრუნველყოფილია და ინფრასტრუქტურულად განახლებულია სატელეფონო ცენტრი; შემუშავებულია უკუკავშირის სისტემის კონცეფცია.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: მეტწილად შესრულებულია.

ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნისთვის მოძიებულია დონორი, შესაბამის სამუშაოები დაწყებულია (დაწყებულია ინფორმაციული აქტივების ინვენტარიზაცია და კონტენტის იდენტიფიცირება).

4. დეკლარირებული მონაცემების სიზუსტის უზრუნველყოფა

4.1 საგადასახადო კონტროლი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული და დამტკიცებულია დეკლარაციის სისწორის კონტროლის კონცეფცია; დანერგილია ახალი საგადასახადო აუდიტის პროგრამა; დანერგილია აუდიტის პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა;

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: მეტწილად შესრულებულია

დასრულდა აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვის პროექტი, რომლის მუშაობაც, პირველ ეტაპზე სატესტო რეჟიმში მიმდინარეობს. აუდიტის დეპარტამენტის 24 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგთა ტრენინგი, რომელთაგან შეირჩა 6 ტრენერი შემდგომში ყველა აუდიტორის ეტაპობრივად

გადამზადების მიზნით. აუდიტის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის რეალურ რეჟიმში გაშვება 2021 წელს არის დაგეგმილი.

V - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა

1.1 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ეკონომიკური აქტივობის გაფართოებული ანალიტიკური პროდუქტები, გაუმჯობესებული პროგნოზი, მაკროეკონომიკური ანალიზით მიღებული შედეგები, მონაცემთა დამუშავების გაფართოებული ცენტრალიზებული სისტემა

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა მონაცემთა დამუშავების ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც ხორციელდება MATLAB პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით. აღნიშნულმა სისტემამ გაზარდა ინფორმაციის მიღება-დამუშავების ოპერატიულობა. 2020 წელს დაიხვეწა სხვადასხვა სამუშაო ფაილი, სადაც ხორციელდება ანალიტიკური მაჩვენებლების მიღება, დამუშავება და გრაფიკული ანალიზი. გრძელდება დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ანალიზი დარგების ჭრილში. გაუმჯობესებულია მეთოდოლოგია ეკონომიკური აქტივობის შეფასებისათვის. გრძელდება საბაჟოს ოპერატიული მონაცემების ანალიზის პროცესი საგარეო ვაჭრობის ტრენდების შესაფასებლად.

1.2 ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული პერიოდული ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გაიზარდა ანალიტიკური ინფორმაციის არეალი; ყოველთვიურ პუბლიკაციებთან ერთად ქვეყნდება კვარტალური მიმოხილვებიც. პერიოდულად მიმდინარეობს ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება, რაც მორგებულია ინტერესთა ცალკეულ ჯგუფებზე, მათ შორის საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოებზე, ინვესტორებზე და ა.შ. გრძელდება ეროვნული ანგარიშების, მიმდინარე ანგარიშისა და საგარეო ვალის ანალიზის დახვეწის პროცესი სხვადასხვა ანალიტიკური თუ ვიზუალური მაჩვენებლების გამოყენებით.

1.3 მაკროეკონომიკური კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული კვლევითი ნაშრომები

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: განახლდა ყოველთვიური პუბლიკაციების დიზაინი და გაიზარდა მისი ინფორმაციულობა. გრძელდება კვარტალური პუბლიკაციის გამოქვეყნება, რომელიც ყოველთვიური ბროშურისგან განსხვავებით ეკონომიკის შედარებით მდგრადი ანალიზის საშუალებას იძლევა. საფუძველი ჩაეყარა DSGE მოდელის აღწერისა და კონკრეტული სცენარის ანალიზის გამოქვეყნების პროცესს. ამასთან, მომზადდა და ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიას თან გაჰყვა საგადასახადო დანახარჯების ანალიზი, სადაც შეფასებულია დამატებული ღირებულების გადასახადის დანახარჯები როგორც რაოდენობრივად, ასევე - მისი განაწილების სოციალური ეფექტების მიმართულებით. ფინანსთა სამინისტროს საიტზე, პუბლიკაციების ნაწილში გამოქვეყნდა კვლევითი ნაშრომი „მაკროეკონომიკა პანდემიის დროს: მომხმარებელთა ქცევა და შეკავების ოპტიმალური პოლიტიკა“, რაც ხელს შეუწყობს მსჯელობის წახალისებასა და კომენტარების მიღებას.

1.4 ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მაკროეკონომიკური რისკების განახლებული ანალიზი, DSGE მოდელის გამოყენებით სხვადასხვა პოლიტიკური სცენარის ანალიზი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: 2019 წლიდან ფინანსთა სამინისტრომ ოპერირება დაიწყო DSGE მოდელის გამოყენებით, რაც გულისხმობს ფისკალური პოლიტიკისა და სხვადასხვა შოკების განვითარების სცენარების შეფასებას. ამასთან, აღნიშნული მოდელის გამოყენებით ხორციელდება პოლიტიკური რეფორმებით გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობის სიმულირება. უნდა აღინიშნოს, რომ DSGE მოდელის საშუალებით განხორციელდა COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეფექტების სიმულირება სხვადასხვა დაშვებების საფუძველზე.

რაც შეეხება მაკროეკონომიკურ რისკებს, ყოველწლიურად მზადდება ფისკალური რისკების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა გაანალიზებული როგორც საგარეო მაკროეკონომიკური რისკები, მათი რეალიზაციის შედეგები და პოლიტიკის პასუხები, ასევე სახელმწიფო საწარმოებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის შეთანხმებებიდან მომდინარე რისკები. აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა და ოპტიმისტურ და პესიმისტურ

სცენარებთან ერთად თან დაერთო 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის პირველად ვერსიას, რაც ასევე გაჰყვა ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიას.

1.5 სტრეს-ტესტების ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: DSGE მოდელის გამოყენებით სხვადასხვა სტრეს-ტესტის ანალიზი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: 2020 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სტრეს-სცენარების დამუშავება ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ივლის-აგვისტოს პერიოდში, როდესაც სხვადასხვა ეპიდემიოლოგიური და რეგიონული რისკების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ეკონომიკური განვითარების სამი სცენარი, რაც საფუძველად დაედო 2021 წლის ბიუჯეტის პირველ წარდგენას.

1.6 საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საშუალო ფისკალური პოლიტიკის დოკუმენტი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის 2021-2024 (BDD) საბოლოო ვერსია, რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტის საშუალოვადიან ჩარჩოს. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნდა ფინანსთა სამინისტროს ვებ-საიტზე ბიუჯეტის 2021 წლის კანონთან ერთად.

1.7 საერთო წონასწორობის დინამიკურ სტოქსტიკური მოდელის (DSGE) ტექნიკური სპეციფიკაციების გაუმჯობესება და დანერგვა პოლიტიკის ანალიზისათვის

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საერთო წონასწორობის დინამიკურ სტოქსტიკური მოდელისთვის (DSGE) ტექნიკური სპეციფიკაციები

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: 2020 წლის დასაწყისში აქტივობები განხორციელდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად. DSGE მოდელში უკვე ასახულია საქართველოს ეკონომიკის ყველა არსებითი მახასიათებელი, რაც აუცილებელია პოლიტიკის გავლენის ადეკვატური შეფასებისათვის. 2020 წლის მესამე კვარტალში გაუმჯობესდა მოდელის პროგნოზირების ნაწილი, როგორც შინაარსობრივად, აგრეთვე

ტექნიკურად. მოდელში ასახულია პანდემიის შედეგად გამოწვეული ეფექტები. ამასთან, ბიუჯეტის კანონის პროექტის პირველი წარდგენისას პროგნოზები შემუშავებულია DSGE მოდელის მეშვეობით.

1.8 სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომიკური პროგნოზირების კუთხით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა გავლენა მაკრო-ფისკალური მაჩვენებლებზე

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ხორციელდება სხვადასხვა, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების/რეფორმის, აგრეთვე - პოტენციურად განსახორციელებელი რეფორმების ეფექტების შეფასება ეკონომიკაზე, სხვადასხვა სცენარის პირობებში.

1.9 ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სტრატეგიის საბოლოო ვერსიის შემუშავება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გრძელდება აქტიური კომუნიკაცია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან, როგორცაა Fitch, Moody's და S&P. წლის განმავლობაში საქართველოში რამდენჯერმე ჩამოდიან აღნიშნული კომპანიების დელეგაციები, რა დროსაც ეწყობა შეხვედრები როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, აგრეთვე - სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კერძოს სექტორის წარმომადგენლებთან. წელსაც, აღნიშნულ შეხვედრებს ორგანიზება გაუწია ფინანსთა სამინისტრომ. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა პირისპირ შეხვედრებისა, მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაციები როგორც ელექტრონული ფოსტით, აგრეთვე ტელეფონით, რა დროსაც სარეიტინგო კომპანიებს ეცნობებათ ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები. 2020 წლის თებერვალში გაიმართა შეხვედრა სარეიტინგო კომპანია Fitch-თან, ხოლო აგვისტოში განხორციელდა ვირტუალური შეხვედრები Fitch-ისა და S&P-ის წარმომადგენლებთან. სატელეფონო კომუნიკაცია განხორციელდა ასევე სარეიტინგო კომპანია Moody's-სთანაც.

2.1 ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული პროგნოზი, ალტერნატიული მეთოდოლოგიის გაუმჯობესება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გრძელდება როგორც მთლიანად საგადასახადო შემოსავლების, ისე ცალკეული გადასახადის (მათ შორის, დღგ, აქციზი, საბაჟო, საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადის) ელასტიურობის კოეფიციენტების შეფასება მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პერიოდისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პირველი კანონის პროექტის შემუშავებისას, შემოსავლების პროგნოზები დაეყრდნო DSGE მოდელს. პროგნოზირების პროცესში გათვალისწინებულია 2020 წელს რეალიზებული საგარეო შოკები.

2.2 სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გამოქვეყნებული ანგარიშები

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ყოველწლიურად ხორციელდება საჯარო ფინანსების აღრიცხვის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან მორგება. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე როგორც წლიური, აგრეთვე კვარტალური და თვიური სიხშირით. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს მიერ მზადდება ანალიტიკური მონაცემები ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების შესახებ, რომელიც ქვეყნდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტებთან/კანონებთან ერთად.

VI - ფისკალური რისკები

1. ფისკალური რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა

1.1 სახელმწიფო საწარმოთა პირობითი ვალდებულებების იდენტიფიცირება და შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო საწარმოებიდან მონაცემების მიღების სისტემის/მეთოდოლოგიის დახვეწა; სახელმწიფო საწარმოთა პირობითი ვალდებულებების რეესტრის განახლება; სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობის შედეგების ანალიზი და ფისკალური რისკების შეფასება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო საწარმოთა ფისკალური რისკების შეფასების და საწარმოთა საქმიანობის შედეგების ანალიზის მიზნით სახელმწიფო უწყებებიდან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია საწარმოთა ფინანსური მაჩვენებლების, პირობითი ვალდებულებების და მათი საქმიანობის შესახებ.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განახლდა სახელმწიფო საწარმოთა რეესტრი, გამოყოფილ იქნა ფისკალური რისკების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი 352 საწარმო, მათ შორის ცენტრალური ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ყველა საწარმო. სახელმწიფო საწარმოთა ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენის ანალიზისთვის შეფასდა 130 საწარმოს ფინანსური მონაცემები. მიღებული შედეგები ასახულია ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში, რომელიც დაერთო საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ, მეორე და მესამე წარდგენებს.

1.2 კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირება, შეფასება და ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: კვაზი-ფისკალური აქტივობების რეესტრის განახლება; კვაზი-ფისკალური აქტივობებიდან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასება; კვაზი-ფისკალური აქტივობების მიზანშეწონილობის შეფასება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შესრულდა. კვაზი-ფისკალური აქტივობების მიზანშეწონილობის შეფასების და მათგან მომდინარე ფისკალური რისკების შესამცირებლად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გამოყენებით, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა „კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ“ მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიით განისაზღვრა კვაზი-ფისკალური აქტივობების ფორმები.

მეთოდოლოგიის გამოყენებით შეფასდა კვაზი-ფისკალური აქტივობების გავლენა სახელმწიფო საწარმოების ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებზე. კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათ ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ მეთოდოლოგია, ასევე, ინფორმაცია რამდენიმე მსხვილი საწარმოს კვაზი-ფისკალური აქტივობების შესახებ თან დაერთო 2021 წლის ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტს.

1.3 სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი და სტრატეგია ტესტების ჩატარება შესაძლო ფისკალური რისკების შეფასების მიზნით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: სენსიტიურობის ანალიზის და სტრეს ტესტების მეთოდოლოგიის გამოყენება მსხვილი სახელმწიფო საწარმოების მონაცემებზე დაყრდნობით, მოდელირებული შოკების გამოყენება და მათი გავლენა საწარმოების ფინანსურ მდგომარეობაზე

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შესრულდა. სახელმწიფო საწარმოთათვის სენსიტიურობის ანალიზის მოდელისთვის, ფინანსური მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეირჩა 6 მსხვილი სახელმწიფო საწარმო, რომელთა 2019 წლის ჯამური მთლიანი აქტივები ფისკალური რისკების ანალიზში განხილულ სახელმწიფო საწარმოთა ჯამური მთლიანი აქტივების 67%-მდე შეადგენს. არჩეულ საწარმოთათვის მომზადდა სამ-წლიანი ისტორიული (2017-2019) და ხუთ-წლიანი პრო-ფორმა (2020-2024) ფინანსური პროგნოზები. მოდელში აისახა საწარმოების სენსიტიურობა (სტრეს-ტესტებს) სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორების, მწვავე ეკონომიკურ შოკების და მოდელირებული სცენარების მიმართ, მათ შორის მშპ-ს ზრდის, გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთების შოკების მიმართ.

მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია ფისკალური რისკების დოკუმენტში.

1.4 საჯარო და კერძო თანამშრომლობის მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, აღრიცხვა და შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების რეესტრის შექმნა; საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების შეფასებისა და სისტემური ანალიზის მიზნით საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების დანერგვა (მაგ. PFRAM 2.0)

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შესრულდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შექმნილია PPP პროექტების სრულყოფილი რეესტრი;

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის IPSAS- 32-ის შესაბამისად მოხდა 2019 წლის მდგომარეობით ქვეყანაში არსებული PPP პროექტების მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების შეფასება;

ასევე შეფასდა ელექტროენერჯის გარანტირებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე პირობითი ვალდებულებები/ფისკალური რისკები. აღნიშნული პროექტები ასევე წარმოადგენენ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფორმას.

1.5 საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად საჯარო და კერძო თანამშრომლობის მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავება ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით.

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო და კერძო თანამშრომლობის მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოს მიღება და იმპლემენტაცია

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შესრულდა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 28 აპრილის №100 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო და კერძო თანამშრომლობის მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო“. სახელმძღვანელოს შემუშავებაში ფინანსთა სამინისტროს მხარს უჭერდნენ აზიის განვითარების ბანკი და USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI).

1.6 სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო საწარმოთა კლასიფიკაცია საჯარო კორპორაციებად და სახელმწიფო მმართველობის საწარმოებად; სტატუს მინიჭებულ სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების გავლენის შეფასება ძირითად ფისკალურ მაჩვენებლებზე, მათ შორის ბიუჯეტის შემოსავლებზე, ხარჯებსა და ვალდებულებების ნაწილზე.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შესრულდა

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელდა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაცია. „სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის შესახებ სია“ დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 24 აპრილის №96 ბრძანებით;

შეფასდა სახელმწიფო კორპორაციებისა და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებულ საწარმოთა გავლენა ქვეყნის 2019 წლის ფისკალურ პარამეტრებზე.

1.7. სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის სტანდარტების შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: საწარმოთა მართვის სტანდარტების და პრინციპების შემუშავება საჯარო კორპორაციებში და სახელმწიფო მმართველობის სექტორს მიკუთვნებულ იმ საწარმოებში, რომლებიც საზოგადოებრივი დაინტერესების პირებად (სდპ) არიან იდენტიფიცირებულები; ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის, აღნიშნულის სახედამხედველო და ანალიტიკური ფუნქციის როლის განსაზღვრა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დაიწყო მუშაობა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის შემუშავებაზე. საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით მიმდინარეობს კონსულტაციები პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

VII - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება

1.1 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. შემუშავებულია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2020-2023 წლებისთვის. 2. მენეჯერული ანგარიშვალდებულების ფარგლებში გადამზადებულია მინიმუმ 20 მენეჯერი და 50 შიდა აუდიტორი მუნიციპალიტეტებიდან თაღლითობისა და კორუფციის და/ან ეფექტიანობის აუდიტის საკითხებში. 3. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2019 წლის წლიური ანგარიში წარდგენილია საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ჰარმონიზაციის ცენტრმა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში“ (GGI) მხარდაჭერით შეიმუშავა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების 4 წლიანი სტრატეგია და 2 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს მთავრობას; ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, პროექტის „ფინანსური მართვა და კონტროლი საქართველოში“ ფარგლებში გადამზადდა 20-ზე მეტი მოქმედი მენეჯერი საქართველოს ოთხი სამინისტროდან (ფინანსთა სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო); შემუშავდა და საქართველოს მთავრობას წარედგინა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2019 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში; სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2019 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ.

1.2 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. განხორციელებულია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის არსებული მდგომარეობის/საჭიროებების ანალიზი. 2. შემუშავებულია სისტემის დანერგვის სამოქმედო გეგმა. 3. შემუშავებულია/განახლებულია საჯარო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელო.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ჰარმონიზაციის ცენტრმა OECD/SIGMA-ს ექსპერტების მხარდაჭერითა და ჩართულობით განახორციელა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის არსებული მდგომარეობის/საჭიროებების ანალიზი, რომლის საფუძველზეც შემუშავდა სისტემის დანერგვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ამასთან, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) მხარდაჭერით, შვედეთის ეროვნული ფინანსური მართვის ორგანოს (ESV) ჩართულობით შემუშავდა პილოტურ დაწესებულებებში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის ორწლიანი პროექტი; საერთაშორისო ექსპერტებთან

ერთად წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა საჯარო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელოს განახლებაზე.

1.3 შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების ეროვნული პროგრამის იმპლემენტაციის ფარგლებში, პროგრამის თითოეული მოდულისთვის შემუშავებულია მეთოდოლოგია. 2. განხორციელებულია მინიმუმ 15 შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასება; 3. შიდა აუდიტორებისათვის შემუშავებულია ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგია და ინფორმაციული ტექნოლოგიების(IT) აუდიტის მეთოდოლოგია.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების ეროვნული პროგრამის იმპლემენტაციის ფარგლებში, ჰარმონიზაციის ცენტრის ორგანიზებით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერითა და საერთაშორისო საკონსულტაციო და აუდიტორული ცენტრის - „Center of Excellence in Finance“ (CEF) ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა მეთოდოლოგიაზე სერტიფიცირების პროგრამის თითოეული მოდულისათვის; შემუშავდა შიდა აუდიტის სუბიექტების ხარისხის გარე შეფასების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა 13 შეფასება; შემუშავდა ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგია.

VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა

1. ანგარიშგების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება

1.1 ანგარიშგების პორტალის განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

რეფორმისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიმართულებით საწარმოთათვის ჩატარებული ცნობიერების ამაღლების 10 პრეზენტაცია;

ნათარგმნი და სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული განახლებული ფასს სტანდარტები;

მიზნობრივი აუდიტორიისთვის დონორებისა და სპონსორების მხარდაჭერით ჩატარებული მსს ფასს ტრენინგები;

ანგარიშგების წარდგენის ჩანართის მეშვეობით (**Reportal.ge | SARAS**) გასაჯაროებული მინიმუმ 3 500 საწარმოს 2019 წლის ანგარიშგება სამსახურის პორტალზე (**Reportal.ge**);

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: რეფორმისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიმართულებით საწარმოთათვის ჩატარდა ცნობიერების ამაღლების 10-ზე მეტი პრეზენტაცია/ღონისძიება:

- ✓ ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიმართულებით მე-3 და მე-4 კატეგორიის საწარმოთათვის ჩატარდა ცნობიერების ამაღლების პრეზენტაცია 200-მდე ბუღალტრის მონაწილეობით;
- ✓ ონლაინ შეხვედრა ბუღალტრებისთვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, 400-მდე მონაწილის ჩართულობით;
- ✓ სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ერთიანი რეესტრის სამსახურის ვებგვერდზე განთავსებასთან დაკავშირებით გამართული ღონისძიება 200-მდე მონაწილის ჩართულობით ;
- ✓ ანგარიშგების წარდგენისას დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით მე-3 კატეგორიის საწარმოთათვის განკუთვნილი ონლაინ პრეზენტაცია, 150-მდე მონაწილის ჩართულობით;
- ✓ ევროკავშირის „თვინინგი“-ს პროექტის ფარგლებში SARAS-ისა და პროფესიული ორგანიზაციების მხარდაჭერით გამართული დისტანციური შეხვედრა საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმებისთვის, 100-მდე მონაწილის ჩართულობით;
- ✓ ონლაინ შეხვედრა თემაზე, „ფინანსური გამჭვირვალობის შედეგები | კორპორაციული სექტორის კვლევის საშუალებები“;
- ✓ ონლაინ შეხვედრა თემაზე, თუ რა უნდა გაითვალისწინონ სუბიექტებმა ანგარიშგების წარდგენისას 2020 წელს. შეხვედრას ესწრებოდა 300-მდე პირი;
- ✓ ონლაინ შეხვედრა ანგარიშგების წარდგენის თაობაზე მესამე კატეგორიის საწარმოთათვის (დისტანციურ შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო 450-ზე მეტი დამსწრე);
- ✓ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამსახურმა მესამე კატეგორიის საწარმოების ანგარიშგების ციფრული ფორმების შესახებ სპეციალური ვიდეოინსტრუქცია მოამზადა;
- ✓ სამსახურის ინიციატივით, მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის დაფინანსების შედეგად, ცნობიერების ამაღლების მიზნით, რეპორტალის (reportal.ge) შესახებ ანიმაციური ვიდეორგოლი შეიქმნა.
- ✓ სამსახურმა, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, მეოთხე კატეგორიის საწარმოების დისტანციური შეხვედრა გამართა. სამსახურის წარმომადგენლებმა და კომიტეტის წევრებმა მსმენელებს მეოთხე კატეგორიის სტანდარტში დაგეგმილი ცვლილებები გააცნეს და მათ კითხვებს უპასუხეს.
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის დახმარებით, ვებინარი გაიმართა - „აუდიტის კომიტეტები: შემდგომი განვითარების პერსპექტივები“.

მიზნობრივი აუდიტორიისთვის ღონისძიებისა და სპონსორების მხარდაჭერით განხორციელებული ღონისძიებები, ტრენინგები:

- ✓ განახლდა სამსახურის სარეკომენდაციო მითითება ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების წარდგენის შესახებ;
- ✓ ქართულ ენაზე ითარგმნა და შემუშავდა COVID-19-თან დაკავშირებული სარეკომენდაციო და სახელმძღვანელო მითითებები;
- ✓ ითარგმნა და სამსახურის ვებგვერდზე განთავსდა განახლებული ფასს სტანდარტები;
- ✓ მე-3 კატეგორიის საწარმოთათვის მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ჩატარებული მსს ფასს ტრენინგი 55 მონაწილის ჩართულობით - 2;
- ✓ ტრენინგები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წინაშე ანგარიშვალდებულ სუბიექტებისათვის;

- ✓ პროფესიის წარმომადგენლებისთვის, ასევე ყველა დაინტერესებული პირისთვის ონლაინ სემინარი ჩატარდა, თემაზე „ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისთვის“. ტრენინგები ამერიკის შერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის - „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით წარიმართა. 2020 წელს, კორონავირუსის პანდემიის შედეგად შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე 400-მდე პირი გადამზადდა.

ანგარიშგებების წარდგენის ჩანართის მეშვეობით (Reportal.ge|SARAS) გასაჯაროვდა 4 062 საწარმოს ინდივიდუალური (მათ შორის 561 საწარმოს კონსოლიდირებული) ანგარიშგება სამსახურის პორტალზე (Reportal.ge). სამსახურში IV კატეგორიის 1,710-მა საწარმომ წარადგინა ანგარიშგება.

2. აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა

2.1 აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: 30 აუდიტორული ფირმისთვის ჩატარებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: განხორციელდა 28 აუდიტორული ფირმის და 2 საქმიანობის ინდივიდუალურად განმხორციელებელი აუდიტორის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები

1. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება

1.1 eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ნორმატიული აქტების ფუნქციონალის ოპტიმიზება და გაფართოება; მუნიციპალიტეტებზე დღგ-ს გადანაწილების ვიზუალიზაციისა და ანგარიშგების ფუნქციონალის შექმნა; გადასახდელების დაზუსტებული გეგმის ოპტიმიზება ისტორიული ინფორმაციის სრულყოფილად ამოღების ჭრილში; დინამიური ანგარიშგების დოკუმენტების ფუნქციონალის გაფართოება; სხვადასხვა მზა სახის სტატიკური ანგარიშგების დოკუმენტების დამატება, რომლებიც ინფორმაციას სხვადასხვა სისტემებიდან წამოიღებენ.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2021 წლის სახელმწიფო, ავტონომიებისა და თვითმმართველობის ბიუჯეტების დაგეგმარების დასაწყებად. დაოპტიმიზირდა რიგი ანგარიშგების დოკუმენტები. დაოპტიმიზირდა და გაფართოვდა შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთებისა, კალათების და ჯაჭვების ვალიდაციების ფუნქციონალი. შესწავლილ იქნა და მსვლელობა მიეცა ნაერთი ბიუჯეტების

ბალანსის შემოწმებისა და ავტომატური დაბალანსების ფუნქციონალის განხორციელების ამოცანას. განხორციელდა 28 შესწორება და აღმოიფხვრა 43 ხარვეზი.

1.2 eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე გადასვლის რეფორმის მეორე ეტაპისათვის - შემოსულობების ნაწილის ანალიტიკა და ტექნიკური დავალების შემუშავება; GPSS ინტეგრატორის შემუშავება, დანერგვა და განვითარება; ხაზინის მთავარი წიგნის ოპტიმიზაცია; ინკასოს პროცესის ავტომატიზება; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დაემატა საბილინგო არასაბიუჯეტო გადარიცხვების ინტეგრაცია, მრავალწლიანი ვალდებულების იმპორტის და ღონისძიების ნაშთის დაბრუნების საშუალებები, მესამე პირის გადახდის ფუნქციონალი, ახალი ვალიდაციები და ანგარიშგებები. შემუშავდა და დაინერგა ხაზინას და ეროვნულ ბანკს შორის საბანკო გადარიცხვების ახალი საინტეგრაციო მოდული. დასრულდა აღსრულების ბიუროს ხაზინის და ეროვნული ბანკის სისტემებში ინკასოს დამუშავების პროცესის ავტომატიზაცია. შეიცვალა პირველადი დოკუმენტის, ინვოისის, ვალდებულების, მოთხოვნის, სავალუტო დავალებების ფორმები და ვალიდაციები, ფულის მართვის მოდული, საინკასო დავალების დამუშავების პროცესი, ბუღალტრული ანგარიშთა გეგმა. ჩატარდა ხაზინის მთავარი წიგნის ოპტიმიზაცია. ცვლილებები შევიდა ხაზინის ელექტრონული სერვისში, შესყიდვების სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის, საპენსიო სააგენტოს, ბიუჯეტის სისტემასთან სინქრონიზაციის სერვისებში.

1.3 eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საინვესტიციო პროექტებზე და ჩამორიცხვებზე ინფორმაციის სხვადასხვა ტიპის ანგარიშგების დოკუმენტების შექმნისა და ამოღების ავტომატიზაცია; ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ფუნქციონალის და საჭირო ანგარიშგების მექანიზმების აწყობა; საგარეო ვალის საკრედიტო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ასრულებული ვალის მართვის მექანიზმების შემუშავების ამოცანის პირველი ფაზის დასრულება; ბიუჯეტის მხარდამჭერის პროგრამების დაგეგმვისა და დაზუსტების ფუნქციონალის ოპტიმიზაცია; სახაზინო ემისიების ფუნქციონალის ოპტიმიზაცია.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დასაგეგმად დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო, მომზადდა და გაიგზავნა ბიუჯეტის მხარდამჭერი და საინვესტიციო პროექტები ბიუჯეტის დაგეგმარების სისტემაში. პროექტების დიდ ნაწილზე განხორციელდა და კვლავ მიმდინარეობს ჩამორიცხვების სისტემაში ატვირთვა, შესწავლის პროცესშია ჩამორიცხვების ხაზინის სისტემიდან ავტომატურად შემოტანის ამოცანა. დასრულდა 3 ახალი ანგარიშგების დოკუმენტი, მიმდინარეობს 4 ახალი ანგარიშგების დოკუმენტის ანალიტიკა. განხორციელდა 15 შესწორება და აღმოიფხვრა 12 ხარვეზი.

1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სისტემის ახალი ვერსიის გავრცელება მომხმარებელ ორგანიზაციებში; პროფესიული განვითარების მოდულის იმპლემენტაცია; საინტეგრაციო სერვისის შემუშავება (მონაცემის ექსპორტი და იმპორტი eHRMS სისტემაში სხვა HR სისტემებიდან); შეფასების მოდულის რეალიზება/გაშვება (მეორე ეტაპი); ანგარიშების დინამიური კონსტრუქტორის ჩაშენება სისტემაში; სისტემის მხარდაჭერა და მუდმივი განვითარება მოთხოვნების შესაბამისად.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სისტემაში განახლდა თანამშრომლის დანიშვნის ფუნქციონალი. დასრულდა შეფასების მოდულის, პროფესიული განვითარების მოდულის, ინტეგრაციის პროექტის და რეპორტის კონსტრუქტორის მოდულების ანალიტიკის ეტაპები. ასევე დასრულდა ამავე მოდულების დაველოპინგის და სტაბილიზაციის ფაზები. განახლდა self-service პორტალი. დასრულებულია ახალი მოდულების რეალურ გარემოში იმპლემენტაციის სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს ახალი მოთხოვნები/შემთხვევების იდენტიფიცირება და მათი ტექნიკური გადაწყვეტა. გადრა ამისა, ინტენსიურად მიმდინარეობს მომხმარებელთა ტრენინგები და მხარდაჭერა.

1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის ინფრასტრუქტურული და სისტემური მდგრადობის ამაღლება; ბიზნეს პროცესების ITIL-თან შესაბამისობაში მოყვანა, ISO27001 სტანდარტების დანერგვა და ინფორმაციული უსაფრთხოების დონის ამაღლება; მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია (დოკუმენტ ბრუნვის, ხაზინის მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია, ბაზების დაყოფა ცალ-ცალკე წლების მიხედვით და ძველი მოძველებული მონაცემების შემდგომ განთავსება დაბალი წარმადობის სანახ სისტემებზე); ახალი ჰიპერკონვერგენტული სისტემის სერვერული და მონაცემთა შენახვის სისტემების დანერგვა და შემდგომი მისი გაფართოება; ვირტუალური ინფრასტრუქტურის (Vcenter,ESX) განახლება 6.7 ვერსიამდე და ვირტუალური სერვერების მიგრაცია ახალ სისტემაზე; დაბალი წარმადობის ბეკაპირების სისტემის განახლება; სასერვეროების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია უწყვეტი კვების სისტემის და გაგრილების სისტემის განახლება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დამონტაჟდა და გაეშვა ექსპლუატაციაში გამოთვლითი, ჰიპერ-კონვერგენტული პროგრამული აპარატურული კომპლექსი VXRAIL, სადაც განხორციელდა კრიტიკული ვირტუალური მანქანების მიგრაცია და ასევე მოხდა არბიტრატორის გამართვა მესამე მონაცემთა შენახვის ცენტრში აღნიშნული სისტემის სტაბილური ფუნქციონირებისათვის.

განხორციელდა ახალი ბეკაპირების სისტემის ფიზიკური ინსტალაცია და კონფიგურაცია 2 მონაცემთა დამუშავების ცენტრში არსებულ ბეკაპირების სისტემაში ჩასართველად.

შემოსავლების სამსახურის მიერ შეძენელი სერვერები დამონტაჟდა ჩვენს სასერვეროში. სტატისტიკის ახალი სისტემა დაინსტალირდა 5 ფიზიკურ სერვერზე ვირტუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა VMWare. დაკონფიგურირდა Windows 2016 და ლინუქსის სერვერები.

პრივილეგირებული მომხმარებლებისათვის და დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებისათვის VPN შეერთებისათვის დაინერგა მრავალ ფაქტორიანი (Multi-Factor Authentication - MFA) აუტენტიფიკაციის სისტემა. ასევე მრავალ ფაქტორიანი აუტენტიფიკაციის სისტემა გააქტიურდა სერვერებზე აუტენტიფიკაციისათვის კერძოდ პრივილეგირებული მომხმარებლებისათვის.

უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით ქსელურ მოწყობილობებში ბრენდმაუერებზე განახლდა ოპერაციული სისტემის ვერსიები.

ფინანსთა სამინისტროში განთავსებული განთავსებულ WIFI აქსეს პოინტებზე განახლდა ოპერაციული სისტემა და ასევე მათ დაემატა ფუნქცია დომენით ავტორიზაცია.

განხორციელდა ვირტუალური მანქანების მიგრაცია ახალ ჰიპერკონვერგენტულ გარემოში და ასევე ვირტუალური პლატფორმა განახლდა მე-7 ვერსიამდე.

დამატებითი ნოუდებისათვის ქსელურ ინფრასტრუქტურაში განხორციელდა ახალი კავშირების უზრუნველყოფა.

დანართი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2020 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა

დანართი

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2020 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა

#	მიმართულება/ღონისძიება	დაფინანსების მთლიანი მოცულობა/დაფინანსების წყარო (ლარი)
	I - ბიუჯეტირება	23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა
		1,800,000
1	ბიუჯეტის მართვის სრულყოფა	1,800,000
1.1	წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება	290,000
1.2	საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა (MTEF)	160,000
1.3	პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე	400,000

1.4	საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალური მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა	160,000
1.5	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება	290,000
1.6	წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება	200,000
1.7	საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა	80,000
1.8	მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება	200,000
1.9	საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით	20,000
II - მთავრობის ვალის მართვა		23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა
		572,000
1	მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება	572,000
1.1	პირველადი დილერების სისტემის დანერგვა	313,200
1.2	ინვესტორებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება	258,800
III - აღრიცხვა და ანგარიშგება		23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა
		1,120,000
1	დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა	670,000
1.1	IPSAS დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმით 2019 წელს განსაზღვრული სტანდარტების მოთხოვნების ასახვა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში	150,000
1.2	IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების ფორმების დახვეწა და გაუმჯობესება	150,000
1.3	ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში 2019-2020 წლებში დანერგილი IPSAS სტანდარტების მოთხოვნების გასაცნობად სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრებისთვის საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები	250,000
1.4	საპილოტე მუნიციპალიტეტების მიერ 2019 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მათთვის IPSAS სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებული აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისად	120,000
1.5	თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებისთვის IPSAS სტანდარტებში ცნობადობის ამალგების და გადამზადების მიზნით,სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების გამართვა*	0
1.6	თვითმმართველი ერთეულებისათვის ფინანსური ანგარიშგების ფორმების შემუშავება IPSAS სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, სახაზინო სამსახურისთვის წარსადგენად*	0

2	სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება	450,000
2.1	სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება	250,000
2.2	სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა ტრენინგები და გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით	200,000
IV - საგადასახადო და საბაჟო საკითხები		23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა 23 02 - შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუჯობესება
		8,780,000
1	საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება	1,480,000
1.1	ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება	300,000
1.2	საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა	200,000
1.3	საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა	800,000
1.4	დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) პროექტი	180,000
2	რისკზე დაფუძნებული მიდგომების განხორციელება	2,700,000
2.1	საბაჟო რისკების მართვა	1,200,000
2.2	უწყებრივი რისკის მართვა	1,500,000
3	ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის მხარდაჭერა	1,800,000
3.1	სერვისების განვითარება	1,800,000
4	დეკლარირებული მონაცემების სიზუსტის უზრუნველყოფა	2,800,000
4.1	საგადასახადო კონტროლი	2,800,000
V - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა		23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა
		1,000,000
1	მაკროეკონომიკური პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება	800,000
1.1	მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა	100,000
1.2	ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება	130,000

1.3	მაკროეკონომიკური კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება	50,000
1.4	ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება	150,000
1.5	სტრეს-ტესტების ანალიზი	60,000
1.6	საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	100,000
1.7	საერთო წონასწორობის დინამიკურ სტოქასტიკურ მოდელის (DSGE) ტექნიკური სპეციფიკაციების გაუმჯობესება და დანერგვა პოლიტიკის ანალიზისთვის	130,000
1.8	სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომიკური პროგნოზირების კუთხით	80,000
1.9	ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია	100,000
2	შემოსავლების პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება	200,000
2.1	ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება	100,000
2.2	სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით	100,000
VI - ფისკალური რისკები		23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა
		571,000
1	ფისკალური რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა	571,000
1.1	სახელმწიფო საწარმოთა პირობითი ვალდებულებების იდენტიფიცირება და შეფასება	141,000
1.2	კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირება, შეფასება და ანალიზი	34,000
1.3	სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი და სტრეს ტესტების ჩატარება შესაძლო ფისკალური რისკების შეფასების მიზნით	26,000
1.4	საჯარო და კერძო თანამშრომლობის მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, აღრიცხვა და შეფასება	122,000
1.5	საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად საჯარო და კერძო თანამშრომლობის მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავება ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით.	52,000

1.6	სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაცია	87,000
1.7	სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის სტანდარტების შემუშავება	109,000
VII - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება		
		23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა
		872,000
1	სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა	872,000
1.1	სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღლება	125,000
1.2	ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში	425,000
1.3	შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში	322,000
VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა		
		23 06 - ბუღალტრული, აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობა
		765,000
1	ანგარიშგების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება	280,000
1.1	ანგარიშგების პორტალის განვითარება	280,000
2	აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა	485,000
2.1	აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა	485,000
IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები		
		23 04 - ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა
		3,618,500
1	საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება	3,618,500
1.1	eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	549,500
1.2	eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	1,012,400
1.3	eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	206,600
1.4	eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	447,000
1.5	ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა	1,403,000

